

## საქართველოს კანონი

### „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 213) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. მოსაკრებლის გადახდის და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი  
1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება არა უგვიანეს საანგარიშის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, გარდა შემდეგი ბუნებრივი რესურსებისა:

ა) ტყის ფონდის მერქნულ რესურსებზე - რესურსის ბუნებიდან ამოღების (მოჭრის) მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს ტყიდან მათი ტრანსპორტირებისა, გარდა ამავე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პირადი მოხმარებისათვის, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ ტყის ფონდის მერქნულ რესურსებზე - წინასწარ, ბუნებიდან რესურსის ამოღებამდე (მოჭრამდე);

გ) სპეციალური ჭრის შედეგად ამოღებული მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ მერქნულ რესურსებზე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ მიღებული მერქნული რესურსის შემქენზე გადაცემამდე;

დ) მცენარეთა არამერქნულ რესურსებზე და მათ პროდუქტებზე - წინასწარ, ლიცენზიის მიღებამდე;

ე) სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ წყალზე - შესაბამისი წლის 1 დეკემბრამდე;

ვ) გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის - წინასწარ, ნადირობის დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით;

ზ) მინერალურ და მიწისქვეშა მტკნარ ჩამოსახსმელ წყლებზე - წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით თანაბარ ნაწილებად;

თ) სასარგებლო წიაღისეულზე (გარდა მინერალური წყლებისა და ნახშირორქანისა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ან

წიაღით სარგებლობის) ლიცენზიის მიღებიდან, 6 თვეში ერთხელ, მაგრამ არა უგვიანეს მე-6 თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ლიცენზიით განსაზღვრული მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ჯამური ან წლიური მაქსიმალური ოდენობის მიხედვით, თანაბარ ნაწილებად ან ყოველდღიური ოდენობის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდის ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ იმ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ან წიაღით სარგებლობის) ლიცენზიაზე, რომლითაც პირდაპირ არის განსაზღვრული მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ჯამური ან წლიური მაქსიმალური ოდენობა სასარგებლო წიაღისეულის კონკრეტული სახეობების მიხედვით; სხვა შემთხვევაში სასარგებლო წიაღისეულზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი გადაიხდება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიხედვით, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

ი) ნახშირორჟანგზე (გაზი CO<sub>2</sub>) - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღებიდან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის ოდენობით.

კ) შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზის რესურსებით სარგებლობისათვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება არა უგვიანეს ყოველი წლის მეორე კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, თევზჭერის ყოველწლიური კვოტიდან თევზჭერის ლიცენზიით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად მოსაპოვებელი თევზის რესურსის სრული ოდენობით.

2. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელები, ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ბუნებრივ რესურსებზე, გარდა „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა, გაანგარიშებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოში წარადგენენ ამავე მოსაკრებლების გადახდისათვის დადგენილ ვადებში. ამასთან, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელ პირს უფლება აქვს არ წარადგინოს გაანგარიშება, თუ მის მიერ გაანგარიშება წარდგენილია და მომდევნო საანგარიშო პერიოდების მიხედვით არ ხდება ლიცენზიით განსაზღვრული მოსაკრებლის ობიექტის ოდენობის ცვლილება“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი